წარმომადგენლობითი საბჭოს რიგგარეშე სხდომა N28

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამების მოსმენა (მომხსენებლები: პროფ. პაატა კერვალიშვილი; პროფ. ალექსანდრე ლაშხი; პროფ. არჩილ ფრანგიშვილი);
2. სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების განხორციელების საკითხის დამტკიცება, კერძოდ: ფაკულტეტის სტრუქტურაში "ბიოენერგეტიკული ტექნოლოგიების" სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის შესახებ (მომხსენებელი პროფ. სერგო დადუნაშვილი);
3. ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების დამტკიცება, კერძოდ: ფაკულტეტზე ლაბორანტის ორი საშტატო ერთეულის დამატების შესახებ (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);
4. სტუ-ს საბიბლიოთეკო საქმიანობაში ფაკულტეტების ბიბლიოთეკართა კონტიგენტის გაერთიანების შესახებ საკითხის დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);
5. სტუ-ს საშტატო განრიგში ცვლილების დამტკიცება, კერძოდ: აკადემიური საბჭოს სამდივნოსთვის ერთი საშტატო ერთეულის დამატების შესახებ (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);
6. სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის საშტატო განრიგში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);
7. სამშენებლო ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების დამტკიცება, კერძოდ: სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეულის დამატების შესახებ (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);
8. "სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის" განყოფილების სტრუქტურისა და დებულების დამტკიცება (მომხსენებელი ბორის გითოლენდია);
9. მიმდინარე საკითხები:

შენიშვნა: სტუ-ს რექტორობის კანდიდატების ბიოგრაფიული მონაცემები და საარჩევნო პროგრამები განთავსებულია სტუ-ს ვებ_გვერდზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 6 თებერვლის (რიგგარეშე) სხდომის
ოქმი №28

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 71 წევრიდან, ესწრებოდა 47. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი. **წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.**

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, რათა აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. **ხათუნა ჟვანია, პროფ. გენადი იაშვილი და სტუდენტი პაატა მალაზონია**.

წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის პირველ საკითხს – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამების მოსმენა. რადგან ერთმა კანდიდატმა, კერძო – პროფესორმა ალექსანდრე ლაშხმა, ოფიციალურად მოხსნა თავისი კანდიდატურა, ჩვენ მოვისმენთ რექტორობის ორი კანდიდატის პროგრამას. თითოეული კანდიდატისათვის გამოყოფილია ნახევარი საათი, აქედან თხუთმეტი წუთი მოხსენებისათვის და თხუთმეტი წუთი შეკითხვებისა და პასუხებისთვის. მოხსენებისათვის ვთხოვთ პროფ. პაატა კერვალიშვილს.

პროფ. პაატა კერვალიშვილმა გააცნო აუდიტორიას თავისი ავტობიოგრაფია (იხ. სტუ-ს ვებ-გვერდზე) და გამოყო ის პრიორიტეტები, რაც მას მიაჩნდა შემდგომ საქმიანობაში მართებულად. მან

თავის გამოსვლაში ისაუბრა უნივერსიტეტის პოლიტიკურ მდგენელზე და იმ მოდელზე, რომლის დანერგვასაც ის აპირებს მისი რექტორად არჩევის შემთხვევაში.

სპიკერი – გადავიდეთ შეკითხვებზე.

პროფ. დავით ჯაფარიძე – საქართველოში მოქმედი მისაღები გამოცდების პირობებში თქვენ მიგაჩნიათ, რომ პროგრამა, რაც თქვენ წარმოადგინეთ, განხორციელებადია?

პროფ. პაატა კერვალიშვილი – საქართველოში მართვის ამ პირობებში შეიძლება ბევრი რამის გაკეთება, რომელიც მოგვცემს საშუალებას მართვის მოდელი შევცვალოთ. აშშ-ში ყველგან არის მოხსნილი გამოცდები. ყველგან არის გასაუბრება. ეს ყველა გამოცდაზე რთულია. ფიზიკაზე თუ აბარებს, უნდა იცოდეს ფიზიკა და მათემატიკა.

პროფ. ნოდარ ქაჯაია – თქვენს პროგრამაში გადარჩენა-განვითარების სამი ძირითადი მიმართულებაა მოცემული: 1. სტრატეგიული; 2. ბიუროკრატიული; 3. ადმინისტრაციული. ამას ვეთანხმებით, მაგრამ გეკითხებით: 1. მიგაჩნიათ თუ არა ასაკობრივი ცენზი მისაღებად? 2. აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მასწავლებელთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ, არის თუ არა ეს საჭირო? 3. რა როლს თამაშობს დღეს პორტფოლიო?

პროფ. პაატა კერვალიშვილი – უნდა გაიმიჯნოს რა არის ადმინისტრაციული თანამდებობა და პროფესორის თანამდებობა. პროფესორი ეს არ არის ადმინისტრაციული თანამდებობა, მაგრამ ისეთივე ცენზი წარედგინება როგორც რექტორს. მე ვარ მომხრე 65 წლისთვის იყოს შეზღუდვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე და არა პროფესორზე. პორტფოლიო ჩემი პრობლემაცაა. მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი არ არის მისაღები ჩემთვის, ეს დროებითი ეტაპი უნდა იყოს, მაგრამ არ უნდა ხდებოდეს სისტემატიურად არამედ ეტაპობრივად. სისწრაფეს განსაზღვრავს სისტემა.

პროფ. ვახტანგ დათაშვილი – თქვენ თქვით, რომ ჩვენთან უნდა დაინერგოს ამერიკული განათლების სისტემა. ეს სისტემა მოშლილია იქ. ასე თქვა ობამამ და ჩვენ უნდა გადმოვიღოთ?

პროფ. პაატა კერვალიშვილი – ობამას მხედველობაში ჰქონდა საშუალო განათლების სისტემა, თორემ ტექნიკური განათლება იქ შეუდარებელია.

პროფ. დემურ დანელია – ბატონო პაატა, მე ვარ ტექნიკური უნივერსიტეტის გაზრდილი. საქართველოში რომ იყო სწავლა ისეთი არსად არ იყო. თქვენ ბრძანებთ, რომ ხართ ინჟინერი. მართლა ინჟინერი ხართ?

პროფ. პაატა კერვალიშვილი – საინჟინრო-ფიზიკური განათლება არის საინჟინრო განათლება. მიმაჩნია, რომ ინჟინერი არის მიდგომა საქმისადმი.

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – იმ პერიოდში, როდესაც თქვენ მუშაობდით, მოიფიქრეს აკადემიის რეფორმა, რომელიც არ განხორციელდა. რატომ?

პროფ. პაატა კერვალიშვილი – ევროპაში იცოდნენ, რომ საქართველოს გააჩნია მაღალი სამეცნიერო პოტენციალი. 1995 წლიდან შეიქმნა ტასისის პროექტი, რომელიც საქართველოს ტექნიკურ პერსონალს მიეძღვნა. ამ პროექტში გათვალისწინებული იყო ათეული მილიონი დოლარის ჩადება. ამაში სერიოზულ მონაწილეობას იღებდა "ნატო". საჭირო იყო ინსტიტუტების გამსხვილება. ეს არ იწვევდა შეკვეცებს, ეს იწვევდა ინსტიტუტების დამოყვრებას. ამის წინააღმდეგი წავიდა აკადემია. პროექტი დაიხურა 1999 წელს.

სპიკერი – თუ კი მეტი შეკითხვა არ არის, მადლობა გადავუხადოთ ბატონ პაატა კერვალიშვილს და მოვუსმინოთ მეორე კანდიდატს პროფესორ არჩილ ფრანგიშვილს.

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – პროგრამა რაც მაქვს წარმოდგენილი ვრცლად, არის განთავსებული სტუ-ს ვებ-გვერდზე, მაგრამ მთავარ პრიორიტეტებს კვლავ მოკლედ გავიმეორებ: 1. მთავარი სტუ-ს სტრატეგიაა. რაიმეს გადმოღება ვინმესგან არის დამღუპველი. განათლების სამინისტრო ამერიკაში არის სტატისტიკის როლში. ყველას აქვს თავისი მოდელი. ბოლონიის პროცესი ეს არის ის, რომ ევროპის ყველა უნივერსიტეტს ჰქონდეს 1 მოდელი. ეს სახელმწიფომ გადაწყვიტა და ჩვენ, რომც გვინდოდეს, ამას გვერდს ვერ ავუვლით. ბოლონიის პროცესი ნიშნავს შემდეგს: 1. ხარისხის ამაღლება; 2. კომერციალიზაცია; 3. სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა გავცვალოთ სტუდენტები და პედაგოგები. ევროპას ეს მოდელი დასჭირდა იმის გამო, რომ კონკურენცია გაეწია აშშ-სთვის. დაეჯახა ორი მოდელი: 1. ევროპული ძველი,

რომელიც იყო გერმანული და საბჭოთა – ცოდნის დაგროვების პროცესი; და მეორე ამერიკული სისტემა – რომელიც ამზადებს სპეციალისტს, რომელსაც მოითხოვს ბაზარი ამა თუ იმ სფეროში.

პროფ. დავით ჯაფარიძე – პროგრამაში კარგი ხედვებია, მაგრამ როგორ ფიქრობთ რამდენ ხანში შეიძლება ეს ამოცანები განვახორციელოთ?

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – 4 თვეში თქვენ დაინახავთ შედეგს. უნდა დამუშავდეს ბიზნეს გეგმები. ჩვენ გვექნება სახელმწიფო დაკვეთები.

პროფ. ჯემალ ბერიძე – როგორ მიგაჩნიათ, ინსტიტუტის სტრუქტურა ასეთი დარჩება თუ არა?

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – სისტემა, რომელიც დღეს მუშაობს დაყრდნობილია ორ ძირითად მმართველ ორგანოზე: აკადემიური და წარმომადგენლობით საბჭოებზე. ეს სწორიც არის, რადგან აქ ყველაფერს წყვეტს კოლექტიური ორგანო. აქ რაიმეს შეცვლა არ არის საჭირო, მაგრამ საჭირო იქნება სხვა სტრუქტურებიც. საჭიროა დამუშავდეს მოდელი, რომელშიც ჩართული იქნება ყველა. უნდა შემოვიტანოთ ISO-ს სტანდარტი. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ჩვენი თავის შეთავაზება.

პროფ. აგული სოხაძე – მოგწონთ ჩვენი სწავლის დონე დღეს? სასწავლო პროცესი არ არის მაღალი დონის, არ ვარგა პროგრამები.

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – ჩვენ ყველაფერს გამოვასწორებთ და გამოვუშვებთ სტუდენტს, რომელიც თავის ადგილს მოძებნის ამ ცხოვრებაში.

პროფ. ნაომ ბოჭორიშვილი – რამდენად მისაღებია დღევანდელი დოქტორის ხარისხი? თუ ამას დროზე არ მივხედეთ, მეცნიერება დაიღუპება.

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – ჯერ იცავენ გარდამავალი დროის დისერტანტები. სამწუხაროდ საქართველოში ჯერ არ არის ჩამოყალიბებული, სადოქტორო აკედემიურ ხარისხში უნდა იყოს გათვალისწინებული ჩატარებული კვლევითი სამუშაო თუ არა? და რა სახის? ეს შეთანხმება ალბათ მალე მოხდება.

პროფ. ვანო ჭიაურელი – კარს არის მომდგარი კონკურსი. თქვენეული ხედვა კონკურსთან დაკავშრებით? გარედან დიდი რაოდენობით მოვა კადრები. გვაქვს თუ არა ჩვენ რაიმე დაცვის მექანიზმი?

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – მაგაზე პასუხი ჯერ არ მაქვს, მაგრამ ეს არის საკითხი, რომელიც ყველა მხრიდან უნდა შეფასდეს. როგორ დავიცვათ სტუ-ს სული. უნდა მოვიფიქროთ მექანიზმი, რომ არ დაგვენგრეს ძველი ტრადიციები.

პროფ. ნოდარ კოდუა – როგორ ფიქრობთ, უნდა შემოვიღოთ ჩვენთან ამერიკული ტექნოლოგიების სისტემები?

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – მე ვაკრიტიკებ ამერიკულ განათლებას, ეს თვითონ ობამამ გააკრიტიკა, თორემ ამერიკული ტექნოლოგიების სისტემები რა თქმა უნდა მისაღებია.

პროფ. გენადი იაშვილი – რამდენად სწორად მიგაჩნიათ, რომ რექტორს ირჩევს მხოლოდ 14 კაცი?

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – ჩვენ არ გვაქვს უფლება გავაკეთოთ ის, რაც კანონსაწინააღმდეგოა. უბრალოდ ეს კარგია ოპერატიული მუშაობისათვის.

სპიკერი – თუ მეტი შეკითხვა აღარ არის, მადლობა გადავუხადოთ ბატონ არჩილ ფრანგიშვილს და გადავიდეთ დღის წესრიგის მეორე საკითხზე – სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების განხორციელების საკითხის დამტკიცება, კერძოდ: ფაკულტეტის სტრუქტურაში "ბიოენერგეტიკული ტექნოლოგიების" სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის შესახებ – მომხსენებელი პროფ. სერგო დადუნაშვილი. (საფუძველი: სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №72).

პროფ. სერგო დადუნაშვილი – ევროკომისიის მიერ TEMPUS IV პროექტის ETF-Jp-00021-2008 დამტკიცებასთან დაკავშირებით და მისი მაღალ დონეზე შესრულების მიზნით, ახალი სამეცნიერო-ტექნიკური დარგის "ბიოენერგეტიკის" განვითარებისა და შემდგომ საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობისათვის, უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს ვთხოვთ ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიქმნას "ბიოენერგეტიკული ტექნოლოგიების" სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სტრუქტურაში "ბიოენერგეტიკული ტექნოლოგიების" სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის საკითხი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 6 თებერვლის №28 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 6 თებერვლის №28 სხდომაზე, განხილული იქნა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 26.12.08 მიღებული დადგენილება №72, სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების განხორციელების დამტკიცების შესახებ, კერძოდ: ფაკულტეტის სტრუქტურაში "ბიოენერგეტიკული ტექნოლოგიების" სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის საკითხი.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა
სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიქმნას "ბიოენერგეტიკული ტექნოლოგიების" სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მესამე საკითხზე – ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების დამტკიცება, კერძოდ: ფაკულტეტზე ლაბორანტის ორი საშტატო ერთეულის დამატების შესახებ (თვიური ანაზღაურებით 211 ლარის ოდენობით) – მომხსენებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ საკითხს: ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტზე ლაბორანტის ორი საშტატო ერთეულის დამატების შესახებ. აქვე მინდა მოგახსენოთ აღნიშნული ფაკულტეტის დეკანის თხოვნის შესაბამისად ფაკულტეტის ბიუჯეტში: საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის ხარჯების მუხლიდან 1815 (ათას რვაას თხუთმეტი) ლარი გადატანილ იქნას კავშირგაბმულობის ხარჯებში, ერთი და იგივე მუხლის ერთი პუნქტიდან მეორე პუნქტში. (საფუძველი: ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დეკანის, პროფ. რუსუდან ქუთათელაძის მოხსენებითი ბარათი).

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ს ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტზე ლაბორანტის ორი საშტატო ერთეულის დამატებისა და ამავე ფაკულტეტის ბიუჯეტში ცვლილების განხორციელების საკითხი.

წარმოდგენილ საკითხებს კენჭი ეყარა: მომხრე – 45; წინააღმდეგი – 0; თავი შეიკავა – 2.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 6 თებერვლის №28 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 6 თებერვლის №28 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების განხორციელების დამტკიცების, კერძოდ: ფაკულტეტზე ლაბორანტის ორი საშტატო ერთეულის დამატების შესახებ (თვიური ანაზღაურებით 211 ლარის ოდენობით).

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა
სტუ-ს ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტის სტრუქტურაში განხორციელდეს ცვლილება და დაემატოს ლაბორანტის ორი საშტატო ერთეული (თვიური ანაზღაურებით 211 ლარის ოდენობით).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 6 თებერვლის №28 (რიგგარეშე) სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 6 თებერვლის №28 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი, სტუ-ს ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის (ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით), 2009 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული "საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის ხარჯების მუხლიდან", რომელიც შეადგენს 30650 ლარს, 1815 ლარი გადატანილი იქნეს "კავშირგაბმულობის ხარჯებში".

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა –

სტუ-ს ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტის ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ "საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების მუხლიდან" 1815 ლარი გადატანილი იქნეს "კავშირგაბმულობის ხარჯებში".

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე – სტუ-ს საბიბლიოთეკო საქმიანობაში ფაკულტეტების ბიბლიოთეკართა კონტიგენტის გაერთიანების შესახებ საკითხის დამტკიცება – მომხსენებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი. (საფუძველი: სტუ-ს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დირექტორის, პროფ. ვაჟა პაპასკირის მოხსენებითი ბარათი).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ საკითხს: სტუ-ს საბიბლიოთეკო საქმიანობის ოპერატიულად და მობილურად განხორციელების მიზნით, ფაკულტეტების დამხმარე პერსონალში რიცხული ბიბლიოთეკართა კონტიგენტი გაერთიანდეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკართა კონტიგენტში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ს საუნივერსიტეტო საბიბლიოთეკო საქმიანობაში ფაკულტეტების ბიბლიოთეკართა კონტიგენტის გაერთიანების საკითხი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 6 თებერვლის №28 (რიგგარეშე) სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 6 თებერვლის №28 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს საბიბლიოთეკო საქმიანობაში ფაკულტეტების ბიბლიოთეკართა კონტიგენტის გაერთიანების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა

სტუ-ს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის კონტიგენტში გაერთიანდეს, ფაკულტეტების დამხმარე პერსონალში რიცხული ბიბლიოთეკართა კონტიგენტი.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე – სტუ-ს საშტატო განრიგში ცვლილების დამტკიცება, კერძოდ: აკადემიური საბჭოს სამდივნოსთვის ერთი საშტატო ერთეულის დამატების შესახებ (თვიური ანაზღაურებით 293 ლარის ოდენობით) – მომხსენებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ საკითხს: სტუ-ს საშტატო განრიგს დაემატოს აკადემიური საბჭოს სამდივნოს ერთი საშტატო ერთეული – სამდივნოს სპეციალისტი (თვიური ანაზღაურება 293 ლარის ოდენობით). (საფუძველი: აკადემიური საბჭოს დადგენილება №62, აკადემიური საბჭოს მდივნის, პროფ. გიორგი სალუქვაძის მოხსენებითი ბარათი).

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ს საშტატო განრიგში ცვლილების დამტკიცება, კერძოდ: აკადემიური საბჭოს სამდივნოსთვის ერთი საშტატო ერთეულის დამატების შესახებ.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 6 თებერვლის №28 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 6 თებერვლის №28 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს საშტატო განრიგში ცვლილების დამტკიცების, კერძოდ: აკადემიური საბჭოს სამდივნოსთვის ერთი საშტატო ერთეულის დამატების შესახებ (თვიური ანაზღაურებით 293 ლარის ოდენობით).

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა
სტუ-ს საშტატო განრიგს დაემატოს აკადემიური საბჭოს სამდივნოს ერთი საშტატო ერთეული – სამდივნოს სპეციალისტი – თვიური ანაზღაურებით 293 ლარის ოდენობით.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე – სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის საშტატო განრიგში ცვლილებების დამტკიცება – მომხსენებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ საკითხს: სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის საშტატო განრიგში ცვლილებების დამტკიცებას დანართი №2-ის შესაბამისად.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ეს ინსტიტუტი იხდის ქონების გადასახადს?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – არა, რადგან ის დამოუკიდებელი იურიდიული პირი არ არის.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ბიუჯეტისა და მასში შესატანი ცვლილებების დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 6 თებერვლის №28 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 6 თებერვლის №28 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის საშტატო განრიგში ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა
სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის 2009 წლის ბიუჯეტი (იხ. დანართი №1) და ასევე დამტკიცდა საშტატო განრიგი წარმოდგენილი სახით. (იხ. დანართი №2).

დანართი №2

I. სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების თეორიული კვლევებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების განყოფილებაში შემცირდა უფროს მეცნიერ თანამშრომლის ერთი საშტატო ადგილი, რის გამოც 2009 წლის საშტატო განრიგი განისაზღვრა 53,5 საშტატო ერთეულით, ნაცვლად 54,5-ისა.

II. ნაწილობრივ გაიზარდა ინსტიტუტის სამეცნიერო და ტექნიკური პერსონალის თანამდებობრივი განაკვეთი:

№ რიგზე	სტრუქტურული დანაყოფებისა და თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი	
			მომატებამდე	მომატების შემდეგ
	ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფლება			
1	განყოფილების უფროსი	1	560	600
2	დამლაგებელი	1	145	160
3	დამლაგებელი	1	90	120
	რეჟიმის უსაფრთხოების სამსახური			
1	სამსახურის უფროსი	1	280	320
	კონსტრუირების ლოგიკისა და მათემატიკური მოდელირების განყოფილება			
1	განყოფილების უფროსი	1	480	700
2	უფრ. მეცნ. მუშაკი	2	380	500
	პროექტირებისა და კონსტრუირების განყოფილება			
1	განყოფილების უფროსი	1	660	700
	სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების თეორიული კვლევებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების განყოფილება			
1	განყოფ. უფრ. უფრ.მეცნ.თანმშ.	1	600	700
2	უფროსი მეცნ.მუშაკი	2,5	380	500
3	მეცნ.მუშაკი	1	350	450
4	უფროსი სპეციალისტი	1	240	350
5	სპეციალისტი	1	190	220
	საინფორმაციო ანალიტიკური განყოფილება			
1	განყოფილების უფროსი	1	480	700
2	უფროსი მეცნიერი მუშაკი	1,5	380	500
3	უფროსი სპეციალისტი	1	300	350

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე – სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების დამტკიცება, კერძოდ: სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეულის დამატების შესახებ – მომხსენებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი. (საფუძველი: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ზურაბ გედენიძის მოხსენებითი ბარათი).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ საკითხს: სამშენებლო ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების თაობაზე, კერძოდ: სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეულის დამატების შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების დამტკიცების საკითხი – სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეულის დამატების შესახებ.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 6 თებერვლის №28 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 6 თებერვლის №28 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების დამტკიცების, კერძოდ: სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეულის დამატების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა
სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სტრუქტურაში განხორციელდეს ცვლილება და დაემატოს სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მერვე საკითხზე – სტუ-ს "სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის" განყოფილების სტრუქტურისა და დებულების დამტკიცება – მომხსენებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი. **პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი –** დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საშტატო განრიგში ცვლილების შედეგად წარმოქმნილი "სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის" განყოფილების სტრუქტურასა და დებულებას. (იხ. დანართი №3).

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ს "სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის" განყოფილების სტრუქტურისა და დებულების დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 6 თებერვლის №28 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 6 თებერვლის №28 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს "სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის" განყოფილების სტრუქტურისა და დებულების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა
სტუ-ს "სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის" განყოფილების სტრუქტურა (იხ. დანართი №3) და დებულება (იხ დანართი №4):

დანართი №3

თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	ხელფასის ოდენობა (ლარებში)
განყოფილების უფროსი	1	821
მთავარი სპეციალისტი	1	528
სპეციალისტი	4	293
ჯამი:		2521

პროფ. ვახტანგ დათაშვილი – აკადემიური საბჭოს წევრებს მიეცათ კორპორაციული ტელეფონები. იქნებ ჩვენს საბჭოსაც ჰქონდეს ეს ტელეფონები?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის. თუ მათ ჩავურთავთ, იგივე პრეტენზია გაუჩნდება წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებსაც. მაშინ სტუ-მ უნდა გადაიხადოს 12 780 (თორმეტი ათას შვიდასოთხმოცი) ლარი. თუ რომელიმე მუხლში ჩავდებთ ამას, მე პრობლემა არ მაქვს. ეს თქვენი გადასაწყვეტია.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ყველა კაპიკს გავუფრთხილდეთ, არავის არაფერი მიემატოს.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – განათლების სამინისტრომ გამოგვიყო თანხა. ჩვენ გვინდა დიდი ნაწილი ჩავდოთ ნაშთში. გამოყოფილ თანხას მიზანმიმართულად დავხარჯავთ. ახალი თანხის ჩასმით წარმოგიდგენთ ბიუჯეტს.

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი /ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი /გინა გურეშიძე/